ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.ჯვარის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ჯვარსა და ფოცხო ეწერის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მომსახურება, მილების შეკეთება-შეცვლა, ჭებისა და საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა-გასუფთავება, სეპტიკებისა და საპირფარეშოების ამოწმენდა სპეცტექნიკით, არსებული ჭების რემონტი, ჭების თავსახურებისა და გარე ჩარჩოების შეცვლა, გამწმენდი ნაგებობების მომსახურება.		



მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირება.
----------------------------	---

გ) გამწვანების ღონისძიებები

პროგრამის დასახელება	კოდი	გამწვანების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	03 03		75.5
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების გამწვანება, ქუჩების გამწვანება. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული გაზონების მრავალწლიანი მცენარეების დარგვა. მერიის შენობის წინ არსებულ სკვერში ყვავილების დარგვა, ნარგავების შექმნა, ნარგავების მორწყვა, მინერალური სასუქების შეტანა. არსებულ დეკორაციების მოვლა, გათიბვა, ხელსაწყოების შექმნა, გასათიბი მექანიზმის შექმნა, შენახვა, ექსპლუატაცია და რემონტი. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 ქვეპროგრამა : 1. გამწვანების ღონისძიებები ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე 2. გამწვანების ღონისძიებები ქ.ჯვარის ტერიტორიაზე		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

გ.ა) გამწვანების ღონისძიებები ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გამწვანების ღონისძიებები ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 03 01		60.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქ წალენჯიხის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების გამწვანება, ქუჩების გამწვანება. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული გაზონების მრავალწლიანი მცენარეების დარგვა. მერიის შენობის წინ არსებულ სკვერში ყვავილების დარგვა, ნარგავების შექმნა, ნარგავების მორწყვა, მინერალური სასუქების შეტანა. არსებულ დეკორაციების მოვლა, გათიბვა, ხელსაწყოების შექმნა, გასათიბი მექანიზმის შექმნა, შენახვა, ექსპლუატაცია და რემონტი.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

გ.ბ) გამწვანების ღონისძიებები ქ.ჯვარის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გამწვანების ღონისძიებები ქ.ჯვარის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 03 02		15.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქალაქ ჯვარის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების გამწვანება, ქუჩების გამწვანება. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული გაზონების მრავალწლიანი მცენარეების დარგვა. სკვერში ყვავილების დარგვა, ნარგავების შექმნა, ნარგავების მორწყვა, მინერალური სასუქების შეტანა. არსებულ დეკორაციების მოვლა, გათიბვა, ხელსაწყოების შექმნა, გასათიბი მექანიზმის შექმნა, შენახვა, ექსპლუატაცია და რემონტი.		



მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო
----------------------------	--

დ) უპატრონო ცხოველების ოპერირება

პროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების ოპერირება	დაფინანსება ათას ლარში
	03 04		24.0
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შევინარჩუნოთ მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოვახდინოთ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია. აღნიშნულის მისაღწევად ხორციელდება: მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების გაყვანა ქალაქის ცენტრალური ტერიტორიებიდან, უპატრონო ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში, გარდაცვლილი უპატრონო ცხოველების დამარხვა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 ქვეპროგრამა : 1. უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე 2. უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.ჯვარის ტერიტორიაზე.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

დ.ა) უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.წალენჯიხის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 04 01		18.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. წალენჯიხის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შევინარჩუნოთ მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოვახდინოთ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია. აღნიშნულის მისაღწევად ხორციელდება: მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველების გაყვანა ქალაქის ცენტრალური ტერიტორიებიდან, უპატრონო ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში, გარდაცვლილი უპატრონო ცხოველების დამარხვა.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შენარჩუნებულია მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		

დ.ბ) უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.ჯვარის ტერიტორიაზე

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების ოპერირება ქ.ჯვარის ტერიტორიაზე	დაფინანსება ათას ლარში
	03 04 02		6.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შევინარჩუნოთ მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოვახდინოთ ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია. უპატრონო ძაღლების გადაყვანა თავშესაფარში, გარდაცვლილი უპატრონო ცხოველების დამარხვა.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უპატრონო ცხოველების ოპერირებით, შენარჩუნებულია მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა გარემო		



მუხლი 16. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2 495.0 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ორგ.კოდი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
04 00	განათლება	2,495.0	2,425.0	2,430.0	2,435.0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	2,475.0	2,400.0	2,400.0	2,400.0
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მშენებლობა და რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	20.0	25.0	30.0	35.0
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0
04 05	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება	0.0	0.0	0.0	0.0

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2475.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისთვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბალის ასაკის ბავშვებისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და ხარისხიანი მომსახურება წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 34 საბავშვო ბაღი, სადაც შექმნება სრულფასოვანი სააღზრდელო გარემო, სადაც დაცული იქნება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; საბავშვო ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან. საბავშვო ბაღებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; საბავშვო ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან. ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა.</p>		
მოსალოდნელი საბოლოო	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის სააღზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა. დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზების და კვების რაციონის		



შედეგი	ნორმები. სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. ყველა პერსონალი დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
--------	---

ბ) საჯარო სკოლების დაფინანსება

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		20.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წალენჯიხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი/საჯარო სკოლები		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის საფუძველზე მოზარდებში კითხვის სწორი სტრატეგიისა და კულტურის დანერგვა, გუნდური თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, სკოლის მოსწავლეების სასწავლო-შემეცნებითი დონის ამაღლება მცირე ზომის სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება, აგრეთვე იმ ღონისძიებების მხარდაჭერა როგორცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შემეცნებითი ინტელექტუალური თამაშების, სამეცნიერო კონკურსების ორგანიზების ხელშეწყობა. სკოლის კურსდამთავრებულთა წახალისება. შემოსული მცირე პროექტების დაფინანსება. მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება. სკოლიდან გასული იმ მოსწავლეების ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა, რომლებიც სკოლიდან გაირიცხნენ, ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით არ შეუძლიათ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა-ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსწავლეთა ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლება; - მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების განვითარება, შემეცნებითი კონკურსებში მოსწავლეთა მეტი ჩართულობა, სასწავლო-აკადემიური დონის ამაღლება. - მეტი რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სასკოლო დაწესებულება. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის, ასევე არასასკოლო განათლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება		

მუხლი 17. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 354.0 ათასი ლარი. პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ორგ.კოდი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,354.0	1,275.0	1,317.0	1,355.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	572.0	580.0	600.0	620.0



05 01 01	სპორტული ცენტრის დაფინანსება	285.0	290.0	300.0	310.0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ცენტრი	287.0	290.0	300.0	310.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	697.0	645.0	665.0	680.0
05 02 01	კულტურის ცენტრის დაფინანსება	525.0	480.0	490.0	500.0
05 02 02	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	172.0	165.0	175.0	180.0
05 02 03	კულტურული ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	35.0	30.0	30.0	30.0
05 04	ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა	50.0	20.0	22.0	25.0

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01		572.0
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ნიჭიერი ახალი თაობის და პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა.		

ა.ა) სპორტული ცენტრის დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		285.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო საარმზრდელო ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სასპორტო ცენტრი აერთიანებს 9 სპორტულ მიმართულებას, ესენია თავისუფალი ჭიდაობა 4 წრე (69– ბავშვი), კარატე 5 წრე (80– ბავშვი), ჯადრაკი 4 წრე (66– ბავშვი), კალათბურთი 3 წრე (36– ბავშვი), რაგბი (25– ბავშვი), მძლეოსნობა (16– ბავშვი), კრივი (15– ბავშვი), ტაეკვანდო 2 წრე (25– ბავშვი), ფრებურთი (25 ბავშვი) სულ სასპორტო ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 367 ბავშვი, სასპორტო ცენტრში დასაქმებულია 51 კაცი, აქედან 25 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი, 26 მწვრთნელი. პროგრამის მიზანია სპორტის განვითარება, მწვრთნელთა მივილინება გუნდებთან ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულებში რაიონულ, რეგიონალურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, მასობრივი და სამოყვარულო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, გამარჯვებულთა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვება. სპორტული ობიექტებით, სპორტული ფორმითა და ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტსმენთა ტრანსპორტით მომსახურება, სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, ჯანსაღი მომავალი თაობის ჩამოყალიბება.		



მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სასპორტო ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად, ყველა მსურველი დაკმაყოფილდეს ცენტრის მომსახურებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომი წრეებით.
----------------------------	---

ა.ბ) ფეხბურთის განვითარების ცენტრი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		287.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი „სქური“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია სტადიონების (მოედნების) მომზადების უზრუნველყოფა საფეხბურთო მატჩების ჩატარებისათვის: ინფრასტრუქტურის - საფეხბურთო მოედნების, აბანო - გასახდელის მომზადება, უსაფრთხოების დაცვა, სტადიონების რადიოფიცირება, რეგიონალური ლიგის გუნდის და ჭაბუკთა 4 საშეჯიბრო გუნდის მონაწილეობის უზრუნველყოფა ეროვნულ და რეგიონალურ ჩემპიონატებში.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეგიონალური მატჩებისთვის და ბავშვთა ასაკობრივი გუნდების შეჯიბრებისათვის სათანადოდ მომზადებული სტადიონები; ფინანსურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფილი მონაწილეობა შესაბამის ტურნირებში		

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		697.0
პროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ასევე, სადღესასწაულო დღეებში ჩატარდება გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ქართული ფოლკლორის შენარჩუნება. ტურიზმის განვითარება.		

ბ.ა) კულტურის ცენტრის დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		525.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“. ქვეპროგრამის მიზანია ქართული ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომლობა ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, სხვადასხვა დარგის დამსახურებულ მოღვაწეებთან, კულტურულ ღონისძიებებს ჩატარება და მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობის		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	უზრუნველყოფა სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენის მოწყობა, ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, სახალხო დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებების ჩატარება („გრანელობა“, „ტარასობა“ და სხვა). კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კლუბების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას. ცენტრი, აგრეთვე, კოორდინაციას უწევს ტერენტი გრანელის სახელობის მუზეუმს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ლეო ქიაჩელის მუზეუმს, აკადემიკოს ტარას კვარაცხელიას სახელობის მუზეუმს, აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმს, რომლებშიც დაცულია მათი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალები და პირადი ნივთები. მუზეუმები სისტემატურად ღებულობენ დამთვალიერებლებს, მათ შორის უცხოელ ტურისტებსაც. მუზეუმებში ჩამოყალიბებულია ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბები, სადაც ტარდება საინტერესო კულტურული, სამეცნიერო და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია საზოგადოების ფართო ფენებისათვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ხელმისაწვდომობა

ბ.ბ) სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		172.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრში ორი განყოფილება გაერთიანებული, სახელოვნებო განყოფილება (სამუსიკო სკოლა) და საგანმანათლებლო განყოფილება (მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი) ორივე განყოფილებაში სკოლისგარეშე განათლებას იღებს 300 მოსწავლე. ცენტრში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს 36 თანამშრომელს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები). დაფინანსება 150000 ლარი. საგანმანათლებლო განყოფილებაში ფუნქციონირებს 14 სხვადასხვა წრე (კომპიუტერის, თექის, ხატვის, მხატვრული კითხვის, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების, ქორეოგრაფიის დაა. შ.სახელოვნებო განყოფილებასთან არსებობს ფოლკლორული ანსამბლი "ლაკადა", ხალხურ საკრავთა ორკესტრი "თითა" სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის მიზანია შემოქმედებითი მიდრეკილების მქონე მოსწავლეთა გამოვლენა და ხელშეწყობა, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა წარმოჩენა, კულტურულ-შემეცნებითი, საქველმოქმედო ღონისძიებების, კონცერტების ჩატარება მუნიციპალიტეტში, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე საზღვარგარეთ. წრეები მუშაობენ შეუფერხებლად ნორმალურ პირობებში. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის მიმდინარე ხარჯები (ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის ორივე განყოფილება მუშაობს შეუფერხებლად. დაკმაყოფილებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.	

მუხლი 18. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,236.4 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ორგ.კოდი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,236.4	1,187.0	1,240.4	1,242.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	350.0	353.0	363.0	373.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	130.0	130.0	135.0	140.0
06 01 02	ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების	100.0	115.0	118.0	120.0



	სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება				
06 01 03	ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპიული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება	30.0	30.0	32.0	35.0
06 01 04	თირკმლის დიალევზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	30.0	25.0	25.0	25.0
06 01 05	მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	50.0	48.0	48.0	48.0
06 01 06	აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	10.0	5.0	5.0	5.0
06 01 07	„საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“ სახ. პროგრამით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსება	0.0	0.0	0.0	0.0
06 01 09	საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა და რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	472.0	443.0	453.0	448.0
06 02 01	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	70.0	50.0	50.0	50.0
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	25.0	30.0	35.0	40.0
06 02 03	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	25.0	30.0	30.0	30.0
06 02 04	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	280.0	275.0	280.0	280.0
06 02 05	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა	35.0	35.0	35.0	35.0
06 02 06	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	10.0	10.0	10.0	10.0
06 02 07	საომარი მოქმედებების და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება	0.0	0.0	0.0	0.0
06 02 08	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა	17.0	10.0	10.0	0.0
06 02 09	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარება	3.0	1.0	1.0	1.0
06 02 10	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	2.0	2.0	2.0	2.0
06 02 11	სამამულო ომის ვეტერანთა ხელშეწყობის პროგრამა	5.0	0.0	0.0	0.0
06 03	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	100.0	85.0	90.0	95.0
06 04	სარიტუალო მომსახურება	10.0	10.0	10.0	10.0
06 04 01	ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი	5.0	5.0	5.0	5.0
06 04 02	უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი.	5.0	5.0	5.0	5.0



06 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა	280.0	290.0	300.0	310.0
06 06	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით ფულადი დახმარება	0.0	0.0	0.0	0.0
06 07	ა(ა)იპ „კეთილი სამართელი“-2014 თანადაფინანსება	6.0	6.0	6.0	6.0
06 08	ვეტერანთა საბჭოს ხელშეწყობა	8.4	8.4	8.4	8.4
06 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	10.0	10.0	10.0	10.0

ა) ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		350.0
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის განხორციელებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:</p> <ol style="list-style-type: none"> საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპიული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა „საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“ სახ. პროგრამით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსება საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა და რეაბილიტაცია 	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.	

ა.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		130.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: საგანმანათლებლო, აღზრდელობით და საგანმანათლებლო-აღზრდელობით დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; საგანმანათლებლო, აღზრდელობით და საგანმანათლებლო-აღზრდელობით დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციას და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტ აღრიცხვას, სასწრაფო მეტყობინების სისტემის დახვეწას და გაუმჯობესებას; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივ შემცირებას მისი კონტროლის გზით; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათზე სწრაფ რეაგირებას, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას; არაგადამდებ დაავადებათა პრევენციას და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვას მოსახლეობის ინფორმირების გზით.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მეტად დაცული ჯანმრთელობის მდგომარეობა

ა.ბ) ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 02		100.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული დაფინანსება ანგარიშდება მომსახურების მიმწოდებლის ტარიფის არეალის ზედა ზღვარზე დაფიქსირებული ღირებულებიდან. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ტარიფი აჭარბებს ტარიფის არეალის ლიმიტს, შესაბამისად პაციენტის თანაგადახდა ხშირად მეტია საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებულ თანხაზე პროგრამა ითვალისწინებს პაციენტის გადახდაში თანა მონაწილეობას და გამოითვლება შემდეგი წესით: თუ საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხა მთლიანი ღირებულების 70%-ზე მეტია, დაფინანსდება პაციენტის გადასახდელი თანხის ნახევარი .ხოლო თუ 70% -ზე ნაკლებია- დაფინანსდება საყოველთაო დაზღვევით დაფარული თანხის 25%. ამ ორივე შემთხვევაში პროგრამით გამოთვლილი თანხის დაფინანსებას ექვემდებარება 50 (ორმოცდაათი) ლარი და ზემოთ, არა უმეტეს 500(ხუთასი) ლარისა . პროგრამა ასევე არ ითვალისწინებს საყოველთაო დაზღვევით 100%-ით დაფინანსების შემთხვევების თანადაფინანსებით, ასევე კერძო დაზღვევით დაფინანსებულთათანადაფინანსება პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს საგარანტიო წერილის გაცემას ,რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ. საგარანტიო წერილის გასაცემად საჭიროა შესაბამისი ჯანმრთელობის ცნობა ფ. N 100 და საყოველთაო დაზღვევის საგარანტიო წერილის ასლი, ან იგივე ინფორმაციის მატარებელი სხვა დოკუმენტი. დასაფინანსებელი თანხის ოდენობას განსაზღვრავს სოციალური კომისია , ხოლო საგარანტიო წერილს გასცემს მუნიციპალიტეტის მერი. იშვიათ შემთხვევაში დაფინანსება მოხდება გაწეული სამედიცინო მომსახურების შემდგომ არა უგვიანეს 3 თვის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით პაციენტის, ან მისი ოჯახის წევრის პირად საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ფინანსური დახმარება და მათი პირობების გაუმჯობესება.		

ა.გ) ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 03		30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ბენეფიციარები არიან ფსიქიკური აშლილობით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის გარდა დამატებით საჭიროებენ ძვირად ღირებული მედიკამენტებით მკურნალობას. ბენეფიციართა შერჩევა ხდება სოციალური კომისიის მიერ ფსიქონარკოლოგიური დისპანსერიდან ყოველ კვარტალურად მოწოდებული მონაცემების გათვალისწინებით ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს პირადობის		



	მოწმობის ასლი, სამედიცინო ფ 100 და პირადი საბანკო ანგარიში. საჭიროების შემთხვევაში ოჯახის წევრის ან მეურვეობის შესაბამისი დოკუმენტაცია . პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე, ან მეურვეზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 50 ლარის ჩარიცხვას. პროგრამა ამ ეტაპზე გათვლილია 45 ბენეფიციარზე
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

ა.დ) თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება	კოდი	თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 04		30.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ბენეფიციარები არიან პაციენტები, რომლებიც ჩართული არიან თირკმლის დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და პროცედურის ჩასატარებლად სისტემატიურად უწყვეტ გადაადგილება სხვა ქალაქში. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 100 ლარის ჩარიცხვას. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ასლი, სახემწიფო პროგრამაში ჩართვის დამადასტურებელი ფN 100 და პირადი საბანკო ანგარიში აღნიშნულ დოკუმენტაციას განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას ღებულობს სოციალური კომისია, პროგრამა გათვალისწინებულია 20 ბენეფიციარზე (დიალოგის სხვადასხვა პერიოდში დაწყების გათვალისწინებით)		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ა.ე) მუდმივად ან/და სისტემატიურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუდმივად ან/და სისტემატიურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01 05		50.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ბენეფიციარები არიან პაციენტები, რომლებიც დაავადებული არიან იშვიათი დაავადებებით (გაფანტული სკლეროზი , სირინგომიელია, მოტონირონთა დაავადება, ლეიკემია(ლეიკოზი), სისტემური სკლოროდერმი, პარკისონის დაავადება, კუნთთა პროგრესული დისტროფია, აუტო იმუნური ჰეპატიტი და მუდმივად ან სისტემატიურად საჭიროებენ ძვირადღირებული მედიკამენტების მიღებას. ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დაავადების დამადასტურებელი მიმდინარე, ან წინა წლის ფ N 100, საჭირო მედიკამენტის მუდმივად, ან სისტემატიურად საჭიროების მითითებით. პირადობის მოწმობის ასლი და პირადი საბანკო ანგარიში. პროგრამა ითვალისწინებს: თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 100 ლარის ჩარიცხვას გარდა პარკისონით დაავადებულებისა, პარკისონით დაავადებულ პაციენტებზე კი ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 50 ლარის ჩარიცხვას. აღნიშნულ დოკუმენტაციას განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას ღებულობს სოციალური კომისია.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.		



ა.ვ) აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	06 01 06	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური	10.0
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამის ბენეფიციარები არიან ასა-ს მქონე 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა მშობლები წარმოადგენენ ნეიროგანვითარების ცენტრის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის „ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის“, რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს ბავშვები“, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრისა და სხვა ლიცენზირებული დაწესებულებების ჩასატარებელი ღონისძიებების შესაბამის ხარჯთაღრიცხვას, დიაგნოზის დამადასტურებელ ფ N 100, ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლს და ერთ ერთი მშობლის პირადობის ასლს. აღნიშნული დოკუმენტების სოციალური კომისიის მიერ განხილვის საფუძველზე წელიწადში ერთხელ (ფინანსური შესაძლებლობის შემთხვევაში ორჯერ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაიცემა საგარანტიო წერილი ჩასატარებელი ღონისძიებების ღირებულების 70%- ის ოდენობის დაფინანსებაზე არაუმეტეს 1000 ლარისა, რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ.</p>	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი		პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.	

ბ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	დაფინანსება ათას ლარში
	06 02		472.0

ბ.ა) მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	06 02 01	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური	70.0
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამა მოქალაქეებზე (ოჯახებზე), რომლებიც ვერ ფინანსდებიან სხვა ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამებით და აქვთ მძიმე ყოფითი პრობლემები, რომელიც დადასტურებულია ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ, წელიწადში ერთხელ, ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაწევას 50 -დან 200-ლარამდე, მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულისათვის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით დადგენილი თვიური ლიმიტის ფარგლებში. აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში გასაცემი თანხის ოდენობას და დახმარები გაწევაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს სოციალური კომისია.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა	



ბ.ბ) ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		25.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიური დედის რიგით პირველ და მეორე ცოცხლად შობილ შვილზე ერთჯერად ფულად დახმარებას 200 ლარის ოდენობით (ტყუპების შემთხვევაში) წარმოდგენილ უნდა იქნეს გაორმაგებით, ასევე გაორმაგდება მე-2 და მე-3 ბავშვის შემთხვევაში) წარმოდგენილ უნდა იქნეს ახალშობილის დაბადებისა და ერთ ერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ინფორმაცია ოჯახის შემადგენლობის შესახებ დადასტურებული საჯარო რეესტრიდან. დაფინანსება მოხდება სოციალური კომისიის გადაწყვეტილებით უნაღლო ანგარიშსწორებით განმცხადებლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს ნოვისა. ტყუპების შემთხვევაშიც. გაორმაგებით მე-2 და მე-3 ბავშვის შემთხვევაშიც.	
მოსალოდნელი შედეგი		ახალშობილთა ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.	

ბ.გ) საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		25.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამით მოსარგებლენი არიან საზოგადოების ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანები (ომისა და შრომის ვეტერანები, პენსიონერები, 100 წელს გადაცილებული პირები და ა.შ.) აფხაზეთისა და რვა აგვისტოს საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული საჯარო და ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელთა ოჯახები. სტატუსის შესაბამისად სხვადასხვა საზეიმო დღესთან დაკავშირებით ბენეფიციართა შერჩევას და თითოეულ ბენეფიციარზე წელიწადში ერთხელ გასაცემი ფულადი და მატერიალური დახმარების ოდენობას განსაზღვრავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია ბენეფიციართა სიებისა და შესაბამისი მონაცემების მიღება ხდება მომსახურების სააგენტოდან ან/და ადმინისტრაციულ ერთეულში მერიის წარმომადგენლებიდან..	

ბ.დ) მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		280.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური	
		პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი შვილი და წარმოდგენენ შვილების დაბადების მოწმობის ასლებს, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლს - ასეთის არსებობის	



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	შემთხვევაში, ერთერთი შშობლის პირადობის მოწმობის ასლს და პირად საბანკო ანგარიშის მომხმარებლის . მრავალ შვილიანი ოჯახებზე რომელთა სარეიტინგო ქულა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100000 ქულაზე დაბალია და 2019 წლის 1 იანვრიდან თითოეულ არასრულწლოვანზე სახელმწიფოს მიერ დაენიშნათ 50 ლარი, ყოველთვიურად გაიცეს 30 ლარი, ხოლო ოჯახებზე 100000 - ზე მეტი სარეიტინგო ქულით თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ყოველთვიურად გაიცეს დახმარება 50 ლარის ოდენობით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე დახმარების დანიშვნაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია.
-------------------------------	---

ბ.ე) შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		35.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100000 -ზე დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ პირებს, რომლებიც არ არიან ასაკით პენსიონერები და წარმოდგენენ სსე (სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა) შემოწმების აქტის ამონაწერს სტატუსით- მკვეთრად გამოხატული (I ჯგუფი) და არიან სახლს (ეტლით მოსარგებლე), ან საწოლს მიჯაჭვული და საჭიროებენ მუდმივ მომვლელს .ასევე ჯანმრთელობის ფ N100 მუდმივად მოვლის საჭიროების მითითებით, პირადობის მოწმობის ასლს ,სარეიტინგო ქულის დამადასტურებელ დოკუმენტს, პირად საბანკო ანგარიშს. საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარის უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლს და საბანკო ანგარიშს. დაფინანსება ,ყოველთვიურად თითოეული ბენეფიციარის პირად ანგარიშზე 100 ლარის ოდენობის თანხის ჩარიცხვით , მოხდება სოციალური კომისიის გადაწყვეტილებით ჩამოთვლილი დოკუმენტების განხილვის შემდეგ. პროგრამა გათვალისწინებულია 25 ბენეფიციარზე (პროგრამაში სხვადასხვა პერიოდში ჩართვის გათვალისწინებით)</p>		

ბ.ვ) დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ბენეფიციარები არიან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვები, რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოდან წარმოდგენენ სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს ,დაბადების მოწმობის ასლს, პირადობის მოწმობის ასლს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათზე მეურვეობის დამადასტურებელ დოკუმენტს, მეურვის პირადობის მოწმობის ასლს და პირად ანგარიშს. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ დედ-მამით ობოლ ბავშვზე ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობის დახმარების მეურვის პირად ანგარიშზე ჩარიცხვას. აღნიშნული დოკუმენტების განხილვის შემდეგ დახმარების თაობაზე გადაწყვეტილებას ეღებულობს სოციალური კომისია.</p>		

ბ.ზ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 08		17.0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობებიდან მერიის მიერ მიზნობრივად გამოსახლებულ პირთა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა, კერძო სექტორში მათთვის საცხოვრებელი ფართების დაქირავებით. (არაუმეტეს 200 ლარისა თვეში)

ბ.თ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და ძალადობის პრევენცია

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და ძალადობის პრევენცია	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 09		3.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ფინანსური ხელშეწყობა ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით		

ბ.ი) სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპიუტერული მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომპიუტერული მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 10		2.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს არასაპენსიო ასაკის სტაციონარული მკურნალობის შემდგომ კომპიუტერული მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მხარდაჭერას, რომლებსაც მკურნალობა უგრძელდებათ ბინაზე და ხანგრძლივად საჭიროებენ მეთვალყურეობასა და ზრუნვას. წარმოდგენილი სამედიცინო ფორმა N100 საფუძველზე სოციალური კომისიის გადაწყვეტილებით ამ კატეგორიის ოჯახზე ყოველთვიურად გაიცემა 100 ლარი.		

ბ.კ) სამამულო ომის ვეტერანთა ხელშეწყობის პროგრამა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამამულო ომის ვეტერანთა ხელშეწყობის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	06 02 11		5.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დიდი სამამულო ომის მონაწილის კომუნალური მომსახურების სუბსიდირება. ბენეფიციარის მიერ წარდგენილი ქვითრების მიხედვით კომუნალური გადასახადების (დენი, წყალი, გაზი) ანაზღაურება უნაღდო ანგარიშსწორებით. პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობა: ყოველთვიურად კომუნალური გადასახადების ქვითრების წარდგენა. პროგრამის ყოველთვიური ღირებულება - 300 ლარამდე.		



გ) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	06 03		100.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების (ძირითადად ხანძარი) იშვიათი გამონაკლისის შემთხვევაში მეწყერი, ქარბუქი, ღვარცოფი, კლდეზვავი, დენადი გრუნტი) შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება. პროგრამის ფარგლებში განიხილება მხოლოდ საცხოვრებელი ფართის დაზიანება, ხანძრით დაზიანების გარდა იშვიათი გამონაკლისის სახით განიხილება აღნიშნული მოვლენების გამო არა მზარდად დაზიანებული, არამედ მოულოდნელად სტიქიის გამო საცხოვრებლის იმ დონით დაზიანება, რომ ის გამოუსადეგარია საცხოვრებლად. დაზიანება პირობითათ იყოფა ოთხ კატეგორიად: 1) ორსართულიანი კაპიტალური სახლის სრული დაზიანება; 2) ერთსართულიანი კაპიტალური ან ხის სახლის სრული დაზიანება; 3) სახლის ნაწილობრივი დაზიანება; 4) დამხმარე ნაგებობის (ე.წ. სამზადი (როგორც ხის, ასევე კაპიტალური, ერთსართულიანი ნაგებობა, რომელიც ძირითადი საცხოვრებელი სახლისგან არის განცალკავებული)) დაზიანება.</p> <p>დაზარალებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს სახანძრო სამაშველო სამსახურის დასკვნა, სტიქიით დაზარალებულის ამსახველი ფოტო მასალა, მუნიციპალიტეტის მერის წამომადგენლის შუამდგომლობა დაზარალებულის ახლო მეზობლების დამოწმებით, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სტრუქტურის მიერ შედგენილი დეფექტური აქტი, დაზარალებული პირის პირადობის მოწმობის ასლი და პირადი საბანკო ანგარიში. აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ დახმარების გაწევაზე და გასაწევი თანხის ოდენობაზე გადაწყვეტილებას ღებულობს სოციალური კომისია. I კატეგორია - 15000 ლარამდე, II კატეგორია - 10000 ლარამდე III კატეგორია - 5000 ლარამდე. IV-კატეგორია-3000 ლარამდე. დახმარება გაეწევა მხოლოდ მიმდინარე წელს დაზარალებულ ოჯახებს.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.		

დ) სარიტუალო მომსახურება

პროგრამის დასახელება	კოდი	სარიტუალო მომსახურება	დაფინანსება ათას ლარში
	06 04		10.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		

დ.ა) ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი

პროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	06 04 01		5.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური		
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1,783.6	1,952.1	497.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	421.5	154.0	145.3
7.7 1	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები			
7.7 2	ამბულატორიული მომსახურება			
7.7 3	საავადმყოფოების მომსახურება			
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	421.5	154.0	145.3
7.7 5	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროსი			
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში			
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	942.2	2,238.1	1,107.9
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	132.5	613.9	-
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	769.7	1,584.1	1,067.9
7.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა			
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40.0	40.0	40.0
7.9	განათლება	4,626.1	4,778.1	3,019.0



7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	3,138.7	4,180.2	3,019.0
7.9 2	ზოგადი განათლება	1,487.4	597.9	-
7.9 2 1	დაწყებითი ზოგადი განათლება			
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება			
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება	1,487.4	597.9	-
7.9 3	პროფესიული განათლება			
7.9 4	უმადლესი განათლება			
7 10	სოციალური დაცვა	705.9	2,724.3	946.4
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	71.3	70.3	109.4
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	48.0	48.0	52.5
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა			
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	149.6	152.0	152.0
7 10 5	უმუშევართა სოციალური დაცვა			
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	20.3	30.0	30.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	31.7	40.0	40.0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	385.0	2,384.0	562.5
	სულ	24,433.8	27,395.5	15,809.7

მუხლი 10

ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 57,2 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 3686,4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	14,389.7	11,973.4	3,686.4
მთლიანი სალდო	- 1,562.8	- 2,211.7	57.2

მუხლი 11

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება



ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 27,2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	- 1,681.7	- 2,296.1	- 27.2
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	1,681.7	2,296.1	27.2
ვალუტა და დეპოზიტი	1,681.7	2,296.1	27.2

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის თანხამ შეადგინა 2318689 ლარი, მათ შორის: ადგილობრივი სახსრების ნაშთი 1548536 ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთი 770153 ლარი.

მუხლი 12

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 104,4 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში მიღებული სესხის თანხის დაფარვას.

თანხა

ათას ლარში

დასახელება	გასული წელი	მიმდინარე წელი	დასაგეგმი წელი
ვალდებულებების ცვლილება	168,4	114,4	104,4
ზრდა			
საშინაო			
საგარეო			
კლება	168,4	114,4	104,4
საშინაო	168,4	114,4	104,4
საგარეო			

მუნიციპალიტეტის მთლიანი ვალდებულება 2022 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენს 334563 ლარს ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრისათვის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 260217 ლარს.



თავი II

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13

ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 5162.9,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01		3,846.7
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა. • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით. 		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		200.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ა/ბეტონის საფარიანი შიდა გზების ორმოულ შეკეთებას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა. • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით. 		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა.		



პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		3,582.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მოწყობა - რეაბილიტაციას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით 		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		64.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სივრცეებში ხორციელდება ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების დამონტაჟება და ექსპლოატაცია.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	შემცირებულია მოსახლეობის მხრიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02		93.9
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“		
	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების მოწყობა/რეაბილიტაციას და არსებული სისტემების მოვლა-პატრონობას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამა და სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო</p>		



<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; • - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა; • - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად; • წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.

<p>პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია</p>	<p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>02 02 01</p>	<p>ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“</p>	<p>93.9</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, მოვლა-პატრონობა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთი პრიორიტეტული საქმიანობაა. ყოველდღიურად ხდება წყლის სათავე ნაგებობებზე შემოვლა შემოწმებები, დაზიანებული მაგისტრალის აღდგენა, შედუღება, ურდულების შეკეთება შეცვლა, იცლება ავზები, სუფთავდება და ივსება, ხდება გაბიდნული მილების გაწმენდა და სხვა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. 		
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს 24 საათის განმავლობაში მიეწოდება სასმელი წყალი.</p>		

<p>პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>გარე განათება</p>	<p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>02 03</p>	<p>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“</p>	<p>750.3</p>
<p>პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას</p>			



პროგრამის აღწერა და მიზანი	და გარე განათების ახალი ქსელის მოწყობას. პროგრამის მიზანია: ლამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება.
მოსალოდნელი შედეგი	ლამის საათებში განათებული მუნიციპალიტეტის ქუჩები და საზოგადოებრივი სივრცეები.

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში 200.3
	02 03 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში სულ 15 თემია, ქალაქის და მასში შემავალი თემების გარე განათების აღდგენა, განახლება და მოვლა-პატრონობა შედის ააიპ „სერვის ცენტრი“ ს საქმიანობაში. შესასრულებელი სამუშაოებისათვის (ახალი სანათების დაყენება, არსებული დაზიანებული სანათების შეცვლა, დემონტაჟი და მონტაჟი, მასიური გათიშვებისა და დაზიანებების აღმოფხვრა და სიპების (კაბელი) გაჭიმვა, გამანაწილებელი კარადების შეკეთება და სხვა. საახალწლო ილუმინაციების, აქსესუარებისა და ნაძვის ხის მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოების განხორციელება. ქვეპროგრამის მიზანია: ლამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი გამართული გარე განათების სისტემა.		

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში 550.0
	02 03 02		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (შიდა გზები, მაგისტრალები) გარე განათების ახალი მაგისტრალების მოწყობა ასევე დასასვენებელ სკვერებში და პარკებში განათების მოწყობა. ქვეპროგრამის მიზანია: ლამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი გამართული გარე განათების სისტემა.		

პროგრამის/ქვეპროგრამის	კოდი	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა,	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
------------------------	------	---	----------------------------------



დასახელება	02 07	რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	140.0
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობის, ნაპირსამაგრი სამუშაოების და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.</p> <p>2022 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, პროგრამიდან შესაძლებელია განხორციელდეს სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები. ლოკაციების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p> <p>პროგრამის მიზანია: სტიქიის პრევენცია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდა; გზების და სხვა ინფრასტრუქტურის ესპლუატაციის ხანგრძლივობის გაზრდა.		

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08		220.0
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება</p>		
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს).		

მუხლი 14
დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1352,5 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	დაფინანსება 2022-2025 წლებზე
-----------------	------------	-----------------	------------------------------



03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,352.5	5,567.5
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,067.9	4,577.9
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	189.6	794.6
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	70.0	70.0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	25.0	125.0

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1067.9
პროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში სულ 15 თემია, რომლის დასუფთავებაც შედის ააიპ „სერვის ცენტრი“ ს კომპეტენციაში; დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ემსახურება 3 მერსედესის ტიპის ნაგავზინდი, აქედან ერთი ქალაქს, 2 თემებში შემავალ სოფლებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 525 ნაგვის კონტეინერი, აქედან ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულია 270 ერთეული ნაგვის კონტეინერი, ხოლო სოფლების ტერიტორიაზე 255 ერთეული ნაგვის კონტეინერი. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ემსახურება ერთი ერთეული ფოტონის ტიპის თვითმცლელი და ერთი ერთეული ფოტონის ტიპის ნაგავშემკრები. ქალაქის ქუჩებიდან ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ნარჩენის (ნაგვის) გატანა მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან. ყოველდღიურად იგვება და სუფთავდება ქალაქის ქუჩები და სკვერები, ხდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზის გვერდულების დასუფთავება ხელით და სანიაღვრე არხების ამოსუფთავება, საჭიროა ნაგვის შემკრები ჯოხები და სპეციალური დანადგარები სანიაღვრე არხების ამოსაწმენდად; იჭრება და იწმინდება სანიაღვრე არხები , ხდება გრუნტის გატანა, ტერიტორიები იწმინდება ეკალ ბარდისაგან, , ეს სამუშაოები სრულდება ჯსბ ის ტიპის ბულდოზერებისა და კამაზების საშუალებით; მიმდინარეობს სასაფლაოების დასუფთავება, მოვლა პატრონობა. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არის წყალუხვი მდინარეები, რომლებსაც სჭირდება დროული გაწმენდა და ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება, ამისთვის სერვის ცენტრი იყენებს კამაცუს ტიპის ბულდოზერს. სერვის ცენტრი ახორციელებს გზის მოხრეშვა გადასწორებას, გრეიდერის დახმარებით. , პროგრამისთვის გათვალისწინებულ ასიგნებებში გათვალისწინებულია როგორც ადმინისტრაციული, ისე მეუზოვეების, მძღოლების, ტექ პერსონალის და სხვა ხელფასები</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> დასუფთავებული ქუჩები და საზოგადოებრივი სივრცეები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად და შეუფერხებლად ხორციელდება დასუფთავება და ნარჩენის გატანა. 		

ქვეპროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		189.6
პროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ. „ლაგოდეხის სერვის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის სერვის ცენტრი ახორციელებს როგორც ერთწლიანი, ასევე მრავალწლიანი მწვანე ნარგავების და ყვავილების შესყიდვას. რომლებიც შემდეგ ირგვება ქალაქის სკვერებში, პარკებში, გაზონებზე და სხვა და სხვა ადგილებში. საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაში ხდება ახალი და არსებული ნარგავების მოვლა პატრონობა: ხდება ხეების შეთეთრება ჩამქრალი კირით, ხდება ნიადაგის სასუქით გამდიდრება, ნარგავები იწამლება სხვა და სხვა ჰერბიციდებით, ხდება გაზონების მორწყვა, ხეების გადაბეღვები, ჭრა ვარჯის ფორმირება, ტერიტორიების თიბვა და სხვა. არისთვისაც სერვის ცენტრი იყენებს სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო მანქანა დანადგარებს: საჭრელებს, სათიბებს და სხვა.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p>		



	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დარგვა და არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა.
მოსალოდნელი შედეგი	გალამაზებული და გამწვანებული მუნიციპალიტეტი.

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 03		70.0
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნაგავმზიდის ტიპის ავტომანქანისა და ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ნაგავშემკრები კონტეინერების განთავსება. • მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლებს ემსახურებოდეს თანამედროვე ნაგავმზიდის ტიპის ავტომანქანები. 		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგავშემკრები კონტეინერები, ასევე მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლებს ემსახურება თანამედროვე ნაგავმზიდის ტიპის ავტომანქანები.		

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 04		25.0
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყოფი უმეტესადაა უფრუოდ დარჩენილი ძაღლების ვეტერინარულ კლინიკაში გადაყვანა საჭირო აცრების ჩატარება.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>უმეტესადაა უფრუოდ დარჩენილი ცხოველებზე ზრუნვა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უპატრონო ცხოველების მხრიდან გადამტანი დაავადებების გავრცელების დაბალი რისკი.		

მუხლი 15 განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3019,0 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	დაფინანსება 2022-2025 წლებზე



04 00	განათლება	3,019.0	12,349.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3,019.0	12,349.0

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		3019.0

პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება.
-----------------------------	---

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების დასახვის ხელშეწყობისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 31 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1560-ზე მეტი ბავშვი. ბავშვებში ჯანდასახვის დონე დასაქმებულია 151 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი.</p>
----------------------------	--

პროგრამის მიზანია:	<p>ბავშვებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბავშვებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის და დგენილ ნორმებთან; ბავშვებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბავშვებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა ბავშვებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა.</p>
--------------------	--

მოსალოდნელი შედეგი	<p>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის განმავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1560-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 85%-ს შეადგენს.</p>
--------------------	--

მუხლი 16

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1234.8 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	დაფინანსება 2022-2025 წლებზე
-----------------	------------	-----------------	------------------------------



05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,234.8	5,162.8
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	91.8	441.8
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	71.8	351.8
05 01 02	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება	20.0	90.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	0.0	0.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,107.9	4,557.9
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	827.9	3,427.9
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	230.0	960.0
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	10.0	10.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0	160.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	35.1	163.1

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01		91.8
პროგრამის განმახორციელებელი	<ul style="list-style-type: none"> ა(ა)ი.პ ლაგოდეხის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია 		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<ul style="list-style-type: none"> სპორტული ცენტრი აერთიანებს 8-სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (278 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (87 ბავშვი); ძიუდო (30 ბავშვი); ჭადრაკი (14 ბავშვი); კალათბურთი (76 ბავშვი). კრივი (35 ბავშვი), ფრენბურთი (49 ბავშვი) ხელბურთი (32 ბავშვი) სულ 601 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-დღე. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისთვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა უფასოდ. სამსახური წლის მანძილზე ანხორციელებს 30 მდე სპორტულ ღონისძიებას სხვადასხვა მიმართულებით, იმართება სახელობითი დღეობები, "ლაგოდეხის პორველობა ქართულ ჭიდაობაში", უზნებს შორის შეჯიბრი სხვადასხვა სახეობებში, ასევე კახეთისა და საქართველოს ჩემპიონატები. სპორტული მიმართულებით მოსარგებლე ბენეფიციარები იღებენ მონაწილეობას საქართველოს მამტაბით შეჯიბრებებში. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამოქალაქო აქტიურობის, სპორტის გავრცელებული სახეობებისათვის ტრადიციების შენარჩუნებისა და მათი პოპულარიზაციის მიზნით. (დამტკიცებული წესის შესაბამისად) <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გადრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; <p>საქართველოს სახელით მოასპარეზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრში მოქმედ სპორტულ წრეებში აღზრდილი და ბოლო სამი წლის განმავლობაში ლაგოდეხში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გადრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; გაზრდილი დაინტერესება და სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩართული ბავშვების</p>		



რაოდენობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		71.8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლაგოდეხის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტული ცენტრი აერთიანებს 8-სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (278ბავშვი); ქართული ჭიდაობა (87 ბავშვი); ძიუდო (30 ბავშვი); ჭადრაკი (14 ბავშვი); კალათბურთი (76 ბავშვი). კრივი (35 ბავშვი), ფრენბურთი (49 ბავშვი) ხელბურთი (32 ბავშვი) სულ 601 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-დღე. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისთვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა უფასოდ. სამსახური წლის მანძილზე ანხორციელებს 30 მდე სპორტულ ღონისძიებას სხვადასხვა მიმართულებით, იმართება სახელობითი დღეობები, "ლაგოდეხის პორველობა ქართულ ჭიდაობაში", უზენეს შორის შეჯიბრი სხვადასხვა სახეობებში, ასევე კახეთისა და საქართველოს ჩემპიონატები. სპორტული მიმართულებით მოსარგებლე ბენეფიციარები იღებენ მონაწილეობას საქართველოს მასშტაბით შეჯიბრებებში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; გაზრდილი დაინტერესება და სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩართული ბავშვების რაოდენობა.		

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		20.0
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამოქალაქო აქტიურობის, სპორტის გავრცელებული სახეობებისათვის ტრადიციების შენარჩუნებისა და მათი პოპულარიზაციის მიზნით. (დამტკიცებული წესის შესაბამისად).</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>საქართველოს სახელით მოასპარეზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრში მოქმედ სპორტულ წრეებში აღზრდილი და ბოლო სამი წლის განმავლობაში ლაგოდეხში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრში მოქმედ სპორტულ წრეებში აღზრდილი წარმატებული სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.		



პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1107.9
პროგრამის განმახორციელებელი	<ul style="list-style-type: none"> ა(ა)ი.პ ლაგოდეხის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი ა(ა)იპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება 		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტში კულტურის მიმართულებით პოლიტიკას განსაზღვრავს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური. სამსახური გეგმავს და ახორციელებს მასობრივ კულტურულ ღონისძიებებს, ფესტივალებს, საქველმოქმედო აქციებს, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოებს; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას. ახდენს მოქალაქეების ინფორმირებას და უზრუნველყოფს ღონისძიებებში მოქალაქეების ჩართულობას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 სამუსიკო სკოლა(ქ. ლაგოდეხის, სოფ. აფენის, სოფ. ლელიანის და სოფ. ვარდისუბნის) და 1 სამხატვრო (ქ. ლაგოდეხის) სკოლა. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო და ვიოლინოს მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში 7 წლიან სამუსიკო განათლებას იღებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 229 ბავშვი აქედან 187 გოგო და 42 ბიჭი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები)38 თანამშრომელს აქედან 38 ქალი. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, გობელენს, ხელოვნებათმცოდნეობას. სამხატვრო სკოლაში 5 წლიანი სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 47 ბავშვი აქედან 36 გოგო და 11 ბიჭი. სკოლაში სულ დასაქმებულია 4 პედაგოგი- 4 ქალი. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ადმინისტრაციული პერსონალი 17 ადამიანი აქედან 13 ქალი და 4 მამაკაცი. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება. <p>შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კლასიკური მუსიკის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; უფასო, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების მოსწავლეები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში. 		

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		827.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)ი.პ ლაგოდეხის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში კულტურის მიმართულებით პოლიტიკას განსაზღვრავს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური. სამსახური გეგმავს და ახორციელებს მასობრივ კულტურულ ღონისძიებებს, ფესტივალებს, საქველმოქმედო აქციებს, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოებს; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას. ახდენს მოქალაქეების ინფორმირებას და უზრუნველყოფს ღონისძიებებში მოქალაქეების ჩართულობას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება.</p>		



მოსალოდნელი შედეგები	მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;
----------------------	--

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		230.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 სამუსიკო სკოლა (ქ. ლაგოდეხის, სოფ. აფენის, სოფ. ლელიანის და სოფ. ვარდისუბნის) და 1 სამხატვრო (ქ. ლაგოდეხის) სკოლა. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო და ვიოლინოს მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში 7 წლიან სამუსიკო განათლებას იღებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 229 ბავშვი აქედან 187 გოგო და 42 ბიჭი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 38 თანამშრომელს აქედან 38 ქალი. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, გობელენს, ხელოვნებათმცოდნეობას. სამხატვრო სკოლაში 5 წლიანი სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 47 ბავშვი აქედან 36 გოგო და 11 ბიჭი. სკოლაში სულ დასაქმებულია 4 პედაგოგი- 4 ქალი. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ადმინისტრაციული პერსონალი 17 ადამიანი აქედან 13 ქალი და 4 მამაკაცი.</p> <p>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კლასიკური მუსიკის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; უფასო, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების მოსწავლეები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.		

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <p>ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული ობიექტების კეთილმოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების დაინტერესების გაზრდას მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული ობიექტების მიმართ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული ობიექტები არის კეთილმოწყობილი, შესაბამისად მუნიციპალიტეტში გაზრდილია ვიზიტორთა რიცხვი, ასევე გაზრდილია ადგილობრივი		



პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 03		35.1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)ი.პ ლავოდების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდობისთვის არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდობის ჩართულობას მასობრივ ღონისძიებებში, ახალგაზრდობის ნიჭისა და უნარების თვითრეალიზაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებები, ფესტივალები, გასართობი, შემეცნებითი და არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობები, ლაშქრობები. პროგრამის მიზანია ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდობის თვითრეალიზაციის შესაძლებლობას, მათი საქმიანობის სტიმულირებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 15 შემეცნების საგანმანათლებლო და 5 გასართობი პროექტი. მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.		
მოსალოდნელი შედეგები	ახალგაზრდობის ინიციატივები მხარდაჭერა, არაფორმალური განათლების და სხვადასხვა შემეცნებით თუ ინტელექტუალურ აქტივობებში ჩართული ახალგაზრდობი. ასევე ჩართულნი არიან როგორც პროგრამის დაგეგმვის პროცესში ასევე სხვადასხვა გასართობ ღონისძიების ორგანიზებაში. ხდება მათი ნიჭი და უნარების გამოვლენა.		

მუხლი 17

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1091,7 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წლის გეგმა	დაფინანსება 2022-2025 წლებზე
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,091.7	4,222.1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	145.3	581.2
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	145.3	581.2
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია	0.0	0.0
06 02	სოციალური დაცვა	946.4	3,640.9
06 02 01	ჰემო დიალიზზე და პერიტონიალურ დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა	62.4	257.4
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	152.0	638.0



06 02 03	სამედიცინო კვლევებისა და სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	300.0	1,200.0
06 02 04	უმწეო ხანდაზმულთა სოციალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების პროგრამა	52.5	222.5
06 02 05	სტუდენტების დახმარების პროგრამა	115.0	190.0
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	121.5	498.5
06 02 07	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა	13.0	63.0
06 02 08	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	5.0	24.0
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	30.0	134.0
06 02 10	უკიდურესად გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის თბობის სეზონთან დაკავშირებით ელექტროენერჯის ან/და ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება	40.0	173.0
06 02 11	100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა	1.0	10.0
06 02 12	სარიტუალო ხარჯი	7.0	28.0
06 02 13	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დახმარების პროგრამა	47.0	202.5

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01		145.3
პროგრამის განმახორციელებელი	<ul style="list-style-type: none"> • ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური. • ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია. 		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მცისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება</p>		



ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.

პროგრამის მიზანია:

- მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;
- პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან, მოსახლეობის დაცვა ანტირაბიული ვაქცინითა და იმუნოგლობულინით, ასევე სტრატეგიული ვაქცინებისა და შრატების ადგილობრივი სტრატეგიული მარაგის შექმნა.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდსიტუაციის კონტოლი, გადამდებ დაავადებათა გამოვლენა, ადეკვატური რეაგირება და პირველადი პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის მზად ყოფნა;

მოსალოდნელი შედეგები

- მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.
